საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 20 0001123237

25/11/2020

„შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 ოქტომბრის №1019392 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა დასაქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 ოქტომბრის №1019392 გადაწყვეტილების მე-5, მე-6 პუნქტებში და დანართ №1-ში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1.1. გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე, 2021 წლის 21 აპრილი.“;

1.2.გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 21 ოქტომბერს.“;

1.3. დანართი №1-ის მე-16 პუნქტში მიეთითოს - „ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი - 2020 წლის 21 ოქტომბერი“;

1.4. დანართი №1-ის მე-17 პუნქტში მიეთითოს - „აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 2021 წლის 21 აპრილი“;

1.6. დანართი №1-ის მე-18 პუნქტში მიეთითოს -„აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი - 2027 წლის 21 ოქტომბერი“;

2.საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის N1123190 სხდომის ოქმის N02 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, No6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა